ხელშეკრულება N277
სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით

ქ. ხონი დეკემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ, ხონის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის, ლადო ჯურხაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: ხონი, თავისუფლების მოედანი N6
საიდენტიფიკაციო კოდი: №244961225
ტელეფონის ნომერი: 0495 222 555
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 300299921

და მეორე მხრივ, ფ.პ. ,,სერგო ბახტაძე" (შემდგომში -მომწოდებელი),
მისამართი: ქ. ხონი, წმინდა ნინოს ქუჩა N56
საიდენტიფიკაციო კოდი: 55001000719
ტელეფონის ნომერი: 555 40 85 10
საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE12LB0711130495958001

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მესამე მუხლის, პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება" შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2019 წლის საახალწლო ღონისძიებებთან დაკავშირებით მუსიკალური აპარატურით მომსახურეობის უზრუნველყოფა (CPV79900000 - სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები; CPV79952100 - კულტურული ღონისძიებების ორგანიზება), ხელშეკრულების პირობების თანახმად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 127.50 (ას ოცდაშვიდი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის და ინვოისის საფუძველზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
3.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ხონის მუნციპალიტეტის მერი და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი.

4. მოწოდების ადგილი და ვადა

4.1 მომსახურეობის გაწევის ადგილია: ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი N6
4.2 მომსახურეობა განხორციელდება 2019 წლის 27 დეკემბერს.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია მოაწოდოს სათანადო ხარისხის საქონელი.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარე დაჯარიმდება და დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02% ოდენობით.

6.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარესძირითად ვალდებულებების შესრულებისგან.

იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შორის შეთანხმებით.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის.

7.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.4 მხარე ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის სესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაშ, მხარე ვალდებულია დაუყონებლივ ან არაუმეტეს მომდევნო სამუშაო დღისა აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმდების ვადა.

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრამდე.

10.2 საქართველოს კანონის ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ თანახმად ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება წერილობითი ფორმის მატერიალური დოკუმენტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპის მეშვეობით:

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:

self governing unit of khoni municipality

Digitally signed by self governing unit of khoni municipality
DN: cn=self governing unit of khoni municipality, 2.5.4.97=NTRGE-244961225, o=..... ....., c=GE
Date: 2019.12.12 17:14:01 +04'00'

მიმწოდებელი:

Sergo Bakhtadze

Digitally signed by Sergo Bakhtadze
DN: cn=Sergo Bakhtadze, serialNumber=55001000719, o=Citizen, c=GE
Date: 2019.12.12 17:15:47 +04'00'